



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 29

19/03/2018

ნინო ჯანელიძის და გიორგი კაპანაძის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების, პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილების, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1. მივლინებულ იქნან, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი გიორგი კაპანაძე ამა წლის 19 მარტს ქალაქ ზუგდიდში, სადაც გაიმართა ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ სამუშაო შეხვედრა იმერეთის წარმომადგენლებთან.

მუხლი 2. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელომწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო